

ვაჟა ბურაბანიძე

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემის მენეჯმენტი

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ეროვნული სააგენტოს უნივერსიტეტის პროფესორი

ეკონომიკის განვითარების ფაქტორები დაკავშირებული არიან ბუნების სხვადასხვა ელემენტებთან. დროთა განმავლობაში ბუნება განიცდის ეკონომიზაციას, ხოლო ეკონომიკა, თავის მხრივ ეკოლოგიზაციას. თანამედროვე პირობებში ეკონომიკის განვითარება წარმოებს ახალ ეკოლოგიურ სიტუაციაში. ამიტომ, სამეურნეო განვითარებისა და ბუნების დაცვის, მისი კვლავწარმოების პრობლემები განხილულ უნდა იქნას ურთიერთმოთხოვნათა პრინციპის დაცვის საფუძველზე. აქ საკითხი ეხება ეკონომიკურ-ეკოლოგიური ტიპის სისტემების ურთიერთკავშირს.

ეკონომიკური პროცესები დიდი ხანია რაც მენეჯმენტის ობიექტია, მაგრამ ბუნების დაცვა, მისი რესურსების გამოყენება, მხოლოდ ბოლო წლებში დაექვემდებარა მას. უნდა აღინიშნოს, რომ ბუნების გამოყენება დამოუკიდებელი მენეჯმენტის ობიექტი არ უნდა იყოს, რადგან ის ეკონომიკასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება. აქედან გამომდინარე, ბუნების და ეკონომიკური მენეჯმენტის პრობლემები განხილულ უნდა იქნეს ერთიანობის პრინციპის საფუძველზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური და სოციალური პროცესების მენეჯმენტს ახასიათებს საერთო ნიშნები. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ბუნების მენეჯმენტი არის ეკოლოგიური წონასწორობის პირობებში მისი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა. ასეთი თვისებით ბუნება გამოდის, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი თავისებური დარგი. ამ უკანასკნელის გათვალისწინებით ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროცესების ერთიანობის პრინციპის საფუძველზე, მენეჯმენტის ამოცანაა ეკონომიკის ჩქარი ტემპით განვითარება ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების გზით.

თანამედროვე პრობლემების რთული კომპლექსური ხასიათი მოითხოვს საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა ინტეგრაციის გაღრმავებას. ამ უკანასკნელმა კი წარმოშვა მოთხოვნილება კვლევისა და მენეჯმენტის თვისებრივად ახალი მეთოდების შესახებ. ასეთი მეთოდი ეფუძნება რთული სისტემის ფუნქციონირების კანონების მოთხოვნილების დრმა ცოდნას. ეკონომიკისა და ეკოლოგიის ინტეგრირების მიჯნაზე წარმოიშვა მეცნიერება ეკონოლოგია. იგი შეისწავლის თანასწორუფლებიანი ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემების სხვადასხვა დონეზე ურთიერთმოქმედებისა და განვითარების იმ კანონებს, რომლებიც ერთიან სისტემაში კანონზომიერ ხასიათს აძლევენ ამ ურთიერთმოქ-

მედებს და მის განვითარებას.

ეკონომიკისა და ბუნების ურთიერთმოქმედების პროცესის მენეჯმენტის რაციონალურმა მეთოდებმა და სისტემებმა უნდა უზრუნველყონ ბუნების ნორმალურ პირობებში შენარჩუნება და კვლავწარმოება. ამ უკანასკნელის მიღწევა შესაძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკური ზრდისა და ბუნების დაცვის, მისი რაციონალურად გამოყენების ჰარმონიულად შეხამების გზით. ეკონომიკისა და ბუნების ურთიერთმოქმედების პროცესის მენეჯმენტის ასეთ კომპლექსურ მიდგომას უზრუნველყოფს საზოგადოების გონივრული საქმიანობა.

ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროცესების ურთიერთხემოქმედების ადგილი არის წარმოების სფერო. ასეთი საწარმოო საქმიანობის სფერო შეიძლება იყოს რეგიონული და გლობალური მასშტაბის. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ურთიერთშეღწეულ ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროცესების შესწავლას. ასეთი პროცესები ქმნიან ეკოლოგიურ (ეკონომიკურ-ეკოლოგიურ) სისტემას. ამ უკანასკნელის მენეჯმენტის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემის სწორი მენეჯმენტი მოითხოვს მეცნიერულად განისაზღვროს სამართავი ობიექტი, საშუალება და მიზანი. მისი საშუალებებია: ეკონომიკური ბერკეტები, ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასება, ბუნების გაჭუჭყიანებისათვის ჯარიმები და ა.შ. ეკონომიკურ-ეკოლოგიურ მენეჯმენტში ეკონომიკური ბერკეტების, როგორც საშუალებების გამოყენება ითვალისწინებს ბუნების დაცვას, მისი რესურსების კვლავწარმოებას, ხოლო მიზანი კი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაა.

ბუნების დაცვის, მისი რესურსების კვლავწარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნების გამოყენების ეკონომიკის რეგულირებას. ბუნებრივი რესურსები - მიწა, წყალი, ტყე, ატმოსფერული ჰაერი არაა ადამიანის შრომით შექმნილი, რაც ხშირად ხდება მათი არაეკონომიური ხარჯვის მიზეზი. დღეს საკმაოდ გავრცელებულია ბუნების გამოყენებისათვის საფასურის გადახდის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც საწარმოებმა გადასახდელი თანხა ბუნებრივი რესურსების გამოყენებისათვის უნდა შეიტანონ წარმოების ხარჯებში.

მიწის რესურსების მენეჯმენტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მიწის რესურსები წარმოადგენს საზოგადოების პირველად მატერიალურ საფუძველს, რომელიც არის შრომის საგანი და სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი საშუალება.

მიწის ფონდის ყველაზე ძვირფას ნაწილს წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. უკანასკნელ ხანს, ურბანიზაციული პროცესების განვითარების, მიწების სტრუქტურის შეცვლის და ნეგატიური ეკოლოგიური პროცესების განვითარების გამო მიმდინარეობს მათი შემცირების ტენდენცია.

მრეწველობის, ინფრასტრუქტურისა და ქალაქების განვითარების გამო, მიწის ფონდის საუკეთესო ნაწილი დაიკავა საწარმოებმა, პიდროელექტროსადგურებმა, სატრანსპორტო კომუნიკაციებმა, საცხოვრებელმა მასივებმა და ა.შ. მიწის მდგომარეობა იცვლება აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მუდმივად მზარდი ინტენსიური დატვირთვის გამო.

მიწის ნაყოფიერების განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მასში სხვა-

დასხვა ქიმიური ელემენტებისა (ნატრიუმი, ფოსფორი, კალიუმი, მაგნიუმი და ა.შ.) და შენაერთების არსებობა. მაგრამ არ არის საკმარისი, რომ ეს ელემენტები ნიადაგში იყო მცენარისათვის შესათვისებელ ფორმაში, არამედ აუცილებელია ისინი გარკვეულ თანაფარდობაში, პროპორციაში არსებობდნენ. მიწით სარგებლობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებები თავისუფალი მიწების შერჩევისა და მიზნობრივი გამოყენებისათვის. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის კადასტრის შედგენას სახელმწიფო დაწესებულებების მიერ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ეკონომიკის ინტენსიურ განვითარებასთან ერთად მთელ რიგ პრობლემებს წარმოქმნის. იგი განაპირობებს მთელი გარემოს და მათ შორის მიწის რესურსების დაბინძურებას. დაბინძურების წყაროებია: სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, კომუნალური ნარჩენები, გამონაბოლქვი აირები და ა.შ. მიწის რესურსების მენეჯმენტი უნდა იყოს მიმართული მიწის რესურსების დაბინძურების მინიმიზებისაკენ.

მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს წყლის რესურსების დაცვას და რაციონალურ გამოყენებას. ამიტომ, ბუნებრივი რესურსების ასეთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი დღეს სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. წყალსატევები ხშირად ჭუჭყიანდება საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. ყოველდღიურად ვუახლოვდებით წყლის რესურსების უკმარისობის გლობალურ და მძაფრ კრიზისს. ღმერთმა ჩვენი სამყარო გასაოცარი რაოდენობის მტკნარი წყლებით დააჯილდოვა, მაგრამ ჩვენი უგუნურების გამო იგი სწრაფად ქრება. მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარეობს მდინარეების, ტბებისა და დიდი მიწისქვეშა წყალსაცავების დაშრობის პროცესი, ხოლო მტკნარი წყლის ზოგიერთი წყარო იმდენად დაბინძურებულია, რომ გამოსაყენებლად გამოუსადეგარია.

წყლის რესურსების ხარისხის მენეჯმენტის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს წყალში მავნე ნივთიერებათა შემცველობის დასაშვები ნორმების დადგენა. ასეთი ქცევა ხელს უწყობს სასმელი, სამრეწველო, რეკრეაციული, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსარწყავად გამოსაყენებელი წყლის რესურსების დაცვას და კვლავწარმოებას.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ტყის რესურსს. ტყეს სოციალური მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოადგენს არამარტო ტყის დამამუშავებელი მრეწველობის სანედლეულო ბაზას, არამედ ატმოსფერული აუზისათვის უანგბადის მიმწოდებელს. ამიტომ, ტყისა და მისი პროდუქტების დაცვას, რაციონალურ გამოყენებასა და კვლავწარმოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ტყის რესურსების მენეჯმენტის საფუძველს წარმოადგენს მათი დაყოფა დანიშნულების მიხედვით. ტყის რესურსებს დანიშნულების მიხედვით ყოფენ სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფს მიაკუთვნებენ: კლიმატის მარეგულირებელ და განმაჯანსაღებელი დანიშნულების ტყის რესურსებს; მეორე ჯგუფს - ტყეებს, რომლებსაც აქვს ერთდროულად როგორც დაცვის, ასევე საექსპლუატაციო დანიშნულება; მესამე ჯგუფს კი ვაკე ადგილის და მთის ტყეებს, რომელთაც აქვთ ძირითადად საექსპლუატაციო დანიშნულება. ტყის რესურსების მენეჯმენტის ძირითადი ამოცანაა ტყის სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენება, ტყის ფონდის დაცვა და გაფართოებული კვლავწარმოება.

ატმოსფერული ჰაერი წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების განსაკუთრებულ სახეს.

მრეწველობის დარგებში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაფართოების აუცილებლობა და ისეთი ნივთიერებების გამოყოფა, რომლებიც ნაკლებადაა გავრცელებული ბიოსფეროში. შედეგად მივიღეთ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ახალი ფაზა, რომლის დროსაც ჰაერის გაჯერება ხდება სინთეტიკური, ტოქსიკური და ძნელად დაშლადი ელემენტებით, მძიმე და იშვიათი ლითონების აეროზოლებით.

ატმოსფერული ჰაერის მენეჯმენტის რეალიზება წარმოებს ამკრძალავ ღონისძიებათა განხორციელებით. ეკონომიკის განვითარების პროექტში მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და გაჯანსაღების დავალებანი, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ატმოსფეროში ზღვრულად დასაშვები გამონაბოლქვის (ზდგ) ნორმატივებმა უნდა შეასრულოს.

ამდენად, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში, ბუნების სისტემას არ შეუძლია საზოგადოების გონივრული ჩარევისა და დახმარების გარეშე კვლავწარმოება. ინდუსტრიის განვითარება, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, ტყეების სამრეწველო ექსპლუატაციის გაძლიერება და სხვა ის მომენტებია, როდესაც ადამიანს არ ჰყოფნის ბუნებრივი რესურსები - შედეგად მოხმარება აჭარბებს ბუნებრივ რესურსთა კვლავწარმოებას და იქმნება კონფლიქტი ადამიანსა და ბუნებას შორის. ამიტომ, საჭიროა ვიზრუნოთ ბუნებრივი რესურსების დაცვაზე, მის რაციონალურ გამოყენებაზე, რომლის განხორციელებაში თავისი როლი უნდა შეასრულოს ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემის სრულფასოვანმა მენეჯმენტმა.

ლიტერატურა:

1. ასათიანი რ., საქართველოს ეკონომიკის ახალი ეპოქა, თბ. 2009წ.
2. ლემონჯავა პ., ბუნების გამოყენების ეკონომიკა, თბ. 2011წ.
3. მიქაძე ი., ეკოლოგია, თბ. 2006წ.
4. ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა, თბ. 2005წ.
5. ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ., სოციალური ეკონომიკა, თბ. 2008წ.